საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარების ცენტრის დებულების (დამტკიცებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 25 ნოემბრის N5 ოქმით) ცვლილება:

1. დებულების **მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) ,,2. ცენტრის სტრუქტურაში შედის ორი განყოფილება - უნივერსიტეტის სტუდქალაქის სტუდენტური განყოფილება და საბავშო უნივერსიტეტის განყოფილება."

ბ) ,,3. უნივერსიტეტის სამტატო განრიგით ცენტრისთვის გათვალისწინებული თანამდებობების დასახელებებია: ცენტრის ხელმძღვანელი, ცენტრის უნივერსიტეტის სტუდქალაქის სტუდენტური სერვისების განყოფილების უფროსი (შემდგომში - ,,განყოფილების უფროსი"), საბავშო უნივერსიტეტის განყოფილების უფროსი (შემდგომში - ,,განყოფილების უფროსი"), მთავარი სპეციალისტი (პირველი კატეგორია), მთავარი სპეციალისტი (მეორე კატეგორია), წამყვანი სპეციალისტი უფროსი სპეციალისტი და კორპუსის ადმინისტრატორი"."

2. დებულების მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-15¹ პუნქტი:

,,15¹. საბავშო უნივერსიტეტის განყოფილება:
ა) ახდენს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შემავალი ღონისძიებებისა და სასწავლო პროცესის განხორციელებას;
ბ) გეგმავს და ახორციელებს სემინარებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში სკოლის მოსწავლეებისათვის;
გ) ორგანიზებას უწევს ექსპერიმენტულ-ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარებას;
დ) ორგანიზებას უწევს და ახორციელებს უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ გაცნობითი ლექციების ჩატარებას მოსწავლეებისათვის;
ე) ორგანიზებას უწევს შემეცნებით-საგანმანათლებლო ვიქტორინების, კონფერენციების და კონკურსების ჩატარებას;
ვ) გეგმავს და ახორციელებს მოსწავლეებისთვის საბავშვო უნივერსიტეტის კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და ექსპედიციებს;

ზ) ორგანიზებას უწევს მოსწავლეებისთვის ზაფხულის და ზამთრის მემეცნებითსაგანმანათლებლო სკოლების ჩატარებას;
თ) ახორციელებს სკოლის მოსწავლეების საბავშვო უნივერსიტეტის და უნივერსიტეტის აკადემიურ პროგრამებზე მოზიდვისათვის საჭირო საინფორმაციო კამპანიას;
ი) ატარებს ღია კარის დღეებს, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვა რეგიონებში;
კ) ორგანიზებას უწევს მოხალისე სტუდენტების მიერ მმობლიურ სკოლებში უნივერსიტეტის შესახებ გაცნობითი შეხვედრების ჩატარებას (მაგ. პროექტები ,,გააცანი შენი პროფესია" და ,,თსუ დესპანი");
ლ) მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ღია კარის დღეებში და სხვადასხვა ღონისძიებებში;
მ) კოორდინირებას უწევს საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში დაგეგმილ და განხორციელებულ ღონისძიებებს ფაკულტეტებზე, ფაკულტეტების მიერ მოსწავლეებისათვის დაგეგმილი ლექციების, კონფერენციების ვიქტორინების და სხვა სახის ღონისძიებების ორგანიზებას".
ნ) ორგანიზებას უწევს მოსწავლეებისათვის კარიერის დაგეგმვის და განვითარების ხელშემწყობი პროგრამების ჩატარებას
ო) ორგანიზაბეს უწევს მოსწავლეებისთვის პროფორიენტაციის კურების ჩატარებას